

# ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

## ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის

### სტუდენტთა გზამკვლევი

(2015-2016 სასწავლო წელი)

შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „ეთსუ“) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა ითვლება უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი საფეხურის პროგრამად. მაგისტრატურა წარმოადგენს უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურს.

### საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირება

**ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს და ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულისათვის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა** მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს,

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში (გარდა რეგულირებადი სპეციალობის პროგრამისა) ძირითად სპეციალობას უნდა ეთმობოდეს არანაკლებ 120 კრედიტი. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება აირჩიოს და შეისწავლოს დამატებითი სპეციალობა 60 კრედიტის მოცულობით.

**დამატებითი სპეციალობა/საგანმანათლებლო პროგრამა** წარმოადგენს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის შემოკლებულ ვარიანტს. იგი არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და გამიზნულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განსავითარებლად.

**რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა** ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისთვის და ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% უნდა დაეთმოს რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა** უნდა ითვალისწინებდეს კვლევით კომპონენტს და იგი უნდა შეადგენდეს პროგრამის სრული მოცულობის არანაკლებ 25%-ს.

### სტუდენტის დატვირთვა და სემესტრები

სტუდენტის სასწავლო საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება კრედიტი - ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას გამოხატულს დროის ერთეულში - საათებში. ერთი კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს, საიდანაც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე არა უმეტეს 10 საათისა არის საკონტაქტო, ხოლო დანარჩენი - დამოუკიდებელი სამუშაო (ცალკეულ სპეციალობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაშვებია კრედიტში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსხვავებული თანაფარდობა).

სასწავლო წელი შედგება შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებისაგან.

ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

### ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

სტუდენტი ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური.

ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი დგინდება ეთსუ-ს რექტორის ბრძანებით. ამასთან, შესაძლებელია განისაზღვროს წლიური გადასახადის 6 ეტაპად გადახდის შესაძლებლობაც.

საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, სტუდენტი ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდეგ, გაივლის აკადემიურ რეგისტრაციას, რაც გულისხმობს ძირითადი პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შერჩევას და შესაბამისი კრედიტების დაგროვებაზე ვალდებულების აღებას.

დამატებითი პროგრამის/არჩევითი კომპონენტის არჩევა ხორციელდება სასწავლო წლის დასრულებამდე სამი კვირის ვადაში, სასესიო პერიოდში.

### სწავლის საფასური

სწავლის საფასური არის ერთსუ-სმიერ დადგენილი გადასახდელი, რომელსაც სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი) იხდის ერთსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტის სწავლის საფასურს ანაზღაურებს დადგენილი წესის შესაბამისად, სტუდენტის მიერ მოპოვებული სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის პროცენტული ოდენობის მიხედვით.

ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტმა სახელმწიფო დაფინანსებისა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფაროს ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

სტუდენტს, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა, ხოლო აღდგენის წესით ჩარიცხვის და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში სტუდენტი იხდის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე, მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილ სწავლის საფასურს.

ერთსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიხედვით იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები.

### სტუდენტის შეფასება და გამოცდები

სტუდენტის მიერ სასწავლო კურსში მიღწეული სწავლის შედეგები ფასდება მისი შუალედური შეფასებებისა (ყოველდღიური აქტიურობა, მიმდინარე, რეიტინგული შეფასება და შესაბამისი სილაბუსით გათვალისწინებული სხვა კომპონენტები) და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც დასკვნითი გამოცდის მაქსიმალურ შეფასებას ეთმობა 40 ქულა.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმებით, 100-ქულიანი სისტემით ხდება აგრეთვე პრაქტიკის, საბაკალავრო, სამაგისტრო ან/და სხვა სახის ნაშრომების შეფასებაც. დასკვნითი გამოცდა სასურველია ჩატარდეს წერიითი ფორმით.

*დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა ყველა სასწავლო კურსისათვის;*

სტუდენტი ვალდებულია **შუალედურ შეფასებებში** ( მიმდინარე შეფასებები, I შუალედური გამოცდა მე-6 კვირას, II შუალედური გამოცდა მე-11 კვირას) არანაკლებ 11 ქულა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით ფიქსირდება შეფასების უწყისში.

სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:

- ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა;

ვ) (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ზ) (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

”.

სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება არის (FX) ან არ გამოცხადდა გამოცდაზე საპატიო მიზეზით (უწყისში დაფიქსირებულია „არგამოცხადება“ და სტუდენტი დეკანატში წარადგენს გამოცდაზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის დამადასტურებელ დოკუმენტს), უფლება აქვს გავიღეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო „ჩაიჭრა“, „ვერ ჩააბარა“ ან „არ გამოცხადდა“, ითვლება ჩაჭრილად დაფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

*დაკვნიით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.*

სასწავლო კურსში ”(F) ჩაიჭრა“ შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია მიმდინარე სწავლის საფასურის გადახდისათვის დადგენილ ვადებში, დამატებით გაიაროს აკადემიური და ადმინისტრაციული (ფინანსური) რეგისტრაცია, დავალიანებული სასწავლო კურსის დარეგისტრირების მიზნით.

სტუდენტს, უფლება არ აქვს დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება, ხოლო მე-4 სემესტრის მაგისტრანტი, რომელსაც აქვს აკადემიური დავალიანება სასწავლო კომპონენტის სახით, უფლებამოსილია მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს იგი კვლევით კომპონენტთან (სამაგისტრო ნაშრომის შესრულება) ერთად იმის გათვალისწინებით, რომ ერთ სასწავლო წელში ათვისებული კრედიტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 75 კრედიტს. ასეთ შემთხვევაში მაგისტრანტი დაიშვება სამაგისტრო ნაშრომის აპრობაციაზე, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე მისი დაშვება განისაზღვრება მას შემდეგ, როცა სრულად ექნება შესრულებული სასწავლო კომპონენტი;

### **აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომი/მონწობა**

პირს, რომელიც სრულად შეასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს, ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია (აკადემიური ხარისხი) და მასზე გაიცემა დიპლომი, სტანდარტული დანართით. კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რის საფუძველზეც, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, ეთსუ-ს რექტორი გამოსცემს ბრძანებას.

### **შიდა მობილობა**

დასაშვებია სტუდენტთა მობილობა ეთსუ-ს ფაკულტეტებს და ასევე ერთი ფაკულტეტის ფარგლებში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორის (შიდა მობილობა).

შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს სასწავლო სემესტრებს შორის პერიოდში, ეთსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

მობილობის/სტატუსშეჩერებულ პირთა აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების წარდგენისა და განხილვის ვადები ასევე განისაზღვრება ეთსუ-ს რექტორის აქტით.

### **სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველები**

ეთსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული ან/და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელიობა;

ბ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულია პატიმრობა;

გ) ავადმყოფობა;

დ) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

ე) აკადემიური შვებულება;

სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი. „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე, სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს ეთსუ-ს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არა უგვიანეს 45 დღის განმავლობაში.

### **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები**

ეთსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) უნივერსიტეტს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ფაკულტეტის დებულებითა და სტუდენტთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება;

გ) პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის;

ვ) გარდაცვალება.

ზ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის სამჯერ მოსმენა და კრედიტის ვერმიღება.

შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამონურვისთანავე სტუდენტს უწყდება უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით რექტორი, კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, გამოსცემს უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანებას. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.

### **სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები**

*სტუდენტს უფლება აქვს* სრულად გამოიყენოს შესაბამისი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით და სხვა აქტებით მისთვის მინიჭებული ყველა უფლება.

უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს უფლება აქვს თანაბრად ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

ეთსუ-ს *სტუდენტი ვალდებულია* უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლება სავალდებულოა, ასევე დაიცვას უმაღლესი განათლების შესახებ კანონმდებლობისა და ეთსუ-ს სამართლებრივი აქტების მოთხოვნები. სტუდენტი ასევე ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტში არსებული ეთიკის ნორმები;

ბ) არ მიმართოს შეურაცხყოფას ან ძალადობას (სექსუალური, ფიზიკური, სიტყვიერი) სხვა სტუდენტებისადმი, ისინი პატივისცემით და სამართლიანად უნდა მოეპყრან ერთმანეთს.

გ) პირადი სარგებლის ნაცვლად სხვა სტუდენტებს, ადმინისტრაციული, აკადემიური ან დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებს არ შესთავაზოს საჩუქარი ან თანხა.

დ) არ ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რაც წარმოადგენს აკადემიურ სიყალბეს, როგორცაა : გამოცდების დროს სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, რაიმე სხვა დამხმარე მასალის (წიგნები, კონსპექტები,

კალკულატორი, ერთმანეთთან საუბარი და სხვა) გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ლექტორის ნებართვა ან თუ იმ დამხმარე მასალის გამოყენების შესახებ.

ე) სხვა სტუდენტის მაგივრად არ ჩააბაროს გამოცდა, ან სთხოვოს სხვა პიროვნებას მათ მაგივრად გამოცდის ჩაბარება.

ვ) არ დაუშვას გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის ან მასალის მოპოვება, ან სხვის მიერ მოპოვებული მასალის გამოყენება.

ზ) არ წარმოაჩინოს სხვა პიროვნების ნამუშევარი (საკურსო თემა, პროექტი, მოხსენება და სხვა) როგორც საკუთარი ნამუშევარი.

თ) არ გამოიყენოს რომელიმე ავტორის ციტატა ან გამონათქვამი საკუთარ ნამუშევარში წყაროს მითითების გარეშე.

ი) არ გააყალბოს მისი საუნივერსიტეტო მონაცემები (მაგალითად, მიღებული ნიშნები), არ მოიპაროს, განადგუროს ან შეცვალოს სხვა სტუდენტის ნამუშევარი.

კ) არ შეუშალოს ხელი სხვა სტუდენტებს სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით.

ლ) არ შეუწყოს ხელი სხვა სტუდენტს აკადემიურ სიყალბეში.

მ) არ გამოიგონოს ან გააყალბოს ფაქტობრივი ინფორმაცია ან რაიმე სახის სხვა მონაცემი კვლევითი სამუშაოების დროს.

ნ) არ გამოიყენოს თავის ნაშრომში კონფიდენციალური ინფორმაცია.

ო) დაემორჩილოს უნივერსიტეტის მარეგულირებელ წესებს.

სტუდენტი ვალდებულია სისტემატიურად ეცნობოდეს მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულ და სხვა საუნივერსიტეტის აქტებში შეტანილ ცვლილებებს ან/და იმ აქტებს, რომელიც შეეხება სტუდენტს. აღნიშნული აქტების გაცნობა შესაძლებელია ეთსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ვებგვერდზე ([ivali.edu.ge](http://ivali.edu.ge)).

### **სტუდენტის ნახალისება და დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. სწავლასა და სტუდენტუ საქმიანობაში მიღწეული წარმატებისა და სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნახალისების შემდეგი სახეები:

ა) მაღლობის გამოცხადება;

ბ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

გ) ადრე შეფარდებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

დ) რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობისათვის გაგზავნის სრული ან ნაწილობრივი ფინანსური უზრუნველყოფა;

დისციპლინური სახდელი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის საფუძველზე, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად.

2. სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი დისციპლინური სახდელები:

ა) შენიშვნა;

ბ) გაფრთხილება;

გ) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

3. შენიშვნა შეიძლება შეეფარდოს სტუდენტს, რომელმაც:

ა) ჩაიდინა არაეთიკური საქციელი;

ბ) დააზიანა სასწავლო უნივერსიტეტის ქონება, რომლის ღირებულება არ აღემატება 100 ლარს (ასეთ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ანაზღაუროს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანიც);

გ) ხელი შეუშალა ან ჩაშალა აუდიტორიული მეცადინეობა;

დ) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გაავრცელა პოლიტიკური და რელიგიური ხასიათის ლიტერატურა, სააგიტაციო ფურცლები და პროკლამაციები;

ე) დააზიანა მისი ან სხვა სტუდენტის მოწმობა;

ვ) დააზიანა ეთსუ-ს ტერიტორიაზე (შენიშვნაში) გამოქვეყნებული განცხადებები/აქტები;

4. გაფრთხილება შეიძლება შეეფარდოს სტუდენტს, რომელიც:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შემოსვლისა და ქცევის წესებს (აკრძალვებს) არღვევს სისტემატურად (ორი და მეტი შემთხვევა);

ბ) შემოვა სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული თრობის მდგომარეობაში;

გ) ჩაშლის გამოცდას;

დ) უნებართვოდ აიღებს სასწავლო უნივერსიტეტში დაცულ დოკუმენტაციას ან/და გაანადგურებს მათ; ე) დააზიანებს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას, თუ ზარალი აღემატება 100 ლარს (ასეთ შემთხვევაში დამრღვევ პირს დისციპლინურ სახდელთან ერთად დაეკისრება უნივერსიტეტისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებაც);

ვ) შევა გამოცდაზე სხვა სტუდენტის ნაცვლად ან ეცდება მის ნაცვლად გამოცდა ჩააბარებინოს სხვა სტუდენტს;

ზ) დისციპლინური სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში კვლავ ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას.

5. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, როგორც დისციპლინური სახდელი შეეფარდება სტუდენტს, რომელიც:

ა) ჩაიდენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს, რომლისთვისაც შეეფარდა ხუთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა;

ბ) ერთი წლის განმავლობაში განმეორებით ჩაიდენს დისციპლინურ გადაცდომას, რისთვისაც შეფარდებული აქვს დისციპლინური სახდელი – გაფრთხილება.

სტუდენტის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების წესი ასახულია სასწავლო შინაგანაწესში.